საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030165720702720

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3372 **18 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს თერმოციკლერის (რეალურ დროში პჯრ სისტემა IVD სერტიფიცირებით/ რეალურ დროში პჯრ სისტემა სამეცნიერო კვლევებისათვის) აპარატურის შესაძენად და ახალი ინსენერატორის (ნარჩენების თერმული გაუვნებელყოფის საამქრო) დამონტაჟებისათვის საავანსო თანხის გადასახდელად ესაჭიროება „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ (პროგრამული კოდი: 27 01 03) პროგრამის მიმდინარე კვარტლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის „საქონელი და მომსახურება“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ასევე, ცენტრს „იმუნიზაცია“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 02) პროგრამის ფარგლებში არსებული ვალდებულებების დასაფინანსებლად მიმდინარე კვარტალში ესაჭიროება „საქონელი და მომსახურება“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, მეორე კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე, ხოლო „ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 06 03) პროგრამის ფარგლებში არსებული ვალდებულებების დასაფინანსებლად მიმდინარე კვარტალში ესაჭიროება „საქონელი და მომსახურება“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, მეოთხე კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ამასთან, კვარტლების დაბალანსების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში არსებული ვალდებულებების ხელშეწყობა “ (პროგრამული კოდი: 27 03 02 05), „ტუბერკულოზის მართვა (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (პროგრამული კოდი: 27 03 02 06 02), აივ ინფექციის/შიდსი (სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) (პროგრამული კოდი: 27 03 02 07 02) და „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 07 03) პროგრამების ასიგნებები.

გთხოვთ, განახორციელოთ კვარტალურ განწერაში ცვლილებები და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

დანართი „1“ ფურცელი.